№ 76 აპრილი 14, პარასკევი 1889 აპრილი 14, პარასკევი № 76

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, პასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ქართული თეატრი

პარასკევს, 14 აპრილს

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

**ავაზაკები**

ტრაგედია 5 მოქ., თხზ. ა. ფურცელაძისა

მოთამაშენი: ქ-ნნი ავალოვისა, მელიქოვისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**სასწავლებელი,**

რომელიც მთავრობის ნება-დართვით გავმართე ქ. ქუთაისში, ტფილისის ქუჩაზე, მაჭავარიანის სახლში, ამზადებს ბავშვებს გიმნაზიისა, პროგიმნაზიისა და სხვა სასწავლებლისათვის. თთვიური გარდასახადი არის ექვსი მანეთი. სასწავლებელი გაიმართა 15 მარტს. სწავლა იქნება ზაფხულშიაც.

სასწავლებელთან იქნება პანსიონი, სადაც შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება როგორც ამ სასწავლებლის მოსწავლეთ, აგრეთვე გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. წლიური გადასახადი თითოეულ პანსიონერზე იქნება 250 მან.

სასწავლებელთანავე იქნება სარეპეტიციო კლასები საღამოობით როგორც პანსიონერებისათვის, აგრეთვე იმ ყმაწვილებისათვის, რომლებიც გიმნაზიასა და პროგიმნაზიაში არიან, სუსტად სწავლობენ და დახმარება ეჭირებათ.

სასწავლებლის მმართველი
ს. ბ. ჯორჯიკია

(4—1)

„გამგე კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა“ უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის ბანკის წევრთა და აგრეთვე წევრთა „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“, საზოგადოების წესდების მე-7 §-ის ძალით, მობრძანდნენ წლიურს საზოგადო კრებაზედ ამ 1889 წლის მაისის 6, საღამოს 6 საათზედ, თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველნი საგანნი არიან შემდეგნი:

1) გამგე კომიტეტის მოხსენება შესახებ სათავად-აზნაურო სკოლისა.

2) მომავალის სამოსწავლო წლის ხარჯი.

3) სახლის მოპოვება სკოლის საკუთრებად.

4) გამგე კომიტეტის თავმჯდომარის ამორჩევა ნაცვლად კონსტანტინე ქრისტეფორის ძის მამაცაშვილისა, რომელიც ათზედ მეტი წელიწადია, რაც ემსახურება საზოგადოებას ამ თანამდებობაზედ, და რომელმაც განაცხადა სურვილი დაეთხოვოს ამ თანამდებობას.

5) ზოგიერთნი ცვლილებანი, რომელიც უნდა მოჰხდეს 1881 წლის წესდების მუხლთა შესახებ.

(3—2)

ტფილისი, 13 აპრილი

სოფლელი მკითხველი ჩვენის გაზეთისა, უეჭველია, უყურადღებოდ არ დასტოვებს ზუგდიდის მაზრიდგან მოწერილს ამბავს სოფლის მოხელეებისა და განსაკუთრებით სოფლის მწერლების შესახებ, მით უფრო, რომ ჩვენში იშვიათია ისეთი სოფლის საზოგადოება, რომელიც გულ-ნატკენი და ზოგჯერ დაჩაგრულიც არ იყოს სოფლის მოხელეებისა თუ მწერლებისაგან. ვინ მოსთვლის რას არ ურივიან სოფლის მოხელეებსა და მწერლებს? ზოგჯერ სასოფლო საქმის გაუგებრობასა და უცოდინარობას სწამებენ, ზოგჯერ უსინიდისობასა და მოქრთამეობას და სხვას. ზოგჯერ ერთი ვინმე გავლენიანი, სოფლის ჭამია კაცი, რომელიც თავის ჯიბისა და მუცლის მეტს არაფერს დაეძებს, მთელს სოფელსა და იმის მოხელეებს ისე ატრიალებს, როგორც ენებება, და პასუხის გამცემი არა ჰყავს. რომ ეს ბრალდება სამართლიანი და საბუთიანია, ეს ყველამ კარგად იცის, ვისაც სოფლის ავკარგიანობისათვის თვალ-ყური უდევნებია. თვით სოფელი-კი ამ თავის უბედურებასა და გაჭირებას გულგრილად შესცქერის, თუმცა გულიც ეწვის და სულიც უწუხს. სოფლის მოხელეებისა და მწერლების უწესოებას ისე შესჩვევია სოფელი, რომ იმის წარმოდგენაც არა აქვს, შესაძლოა თუ არა ეგ დიდი უბედურება თავიდგან აიცილოს. ასე მიდის საქმე წლიდგან წლამდე და ვინ მოსთვლის რამდენი უსამართლობა და უწესოება ჰსუფევს ჩვენს სოფლებში. სამართალი ხომ იმისია, ვინც სოფლის მოხელისა თუ მწერლის გულს მოიგებს და მოინადირებს. საბრალო, წელში გაწყვეტილი გლეხი ხომ ერთს ფეხის ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებს მოხელეს, თუ ჯიბე არ დაიცალა. კანონ-მდებელი და კანონის უფალი წერა-კითხვის ძლივ-მცოდნე მწერალია, რომელიც ხშირად სოფლის მოხელეებთან პირ-შეკრული და მორიგებულია, ამ გვარს ყოფაშია გლეხობა და გამკითხველი და მეშველი არავინა ჰყავს. თითონ-კი ბევრიც რომ ილაპარაკოს, ვერას გახდება, რადგანაც კანონისა არა გაეგებარა და სოფლის მოხელეებთან შემკლავებას ვერ გაჰბედავს.

მიზეზი გლეხობის ამ გვარის ყოფისა მრავალია და ამიტომ ბევრი ცდა და შრომაა საჭირო ამ მიზეზთა მოსასპობლად. აქ მხოლოდ ერთს მიზეზს დავასახელებთ, რომლის მოსპობას მრავალი სიკეთე უნდა მოჰყვეს სოფლისათვის. თითქმის ყველა სოფელში მოხელე თუ მწერალი ყოვლად უცოდინარი და სასოფლო საქმის დაუდევარი კაცია, რომელიც სცდილობს გლეხობა რაც შეიძლება უკეთ გაჰფცქვნას და გაჰპარსოს. სოფლის ვითარება დღემდე ისეა მოწყობილი, რომ მოხელეობას თუ მწერლობას გაიძვერა და სოფლის მჭამელი კაცი იგდებს ხოლმე. პატიოსანი და სოფლის გულშემატკივარი-კი იშვიათად ჰხეირობს სოფელში და ვერც-კი ჰბედავს მოხელეობა თუ მწერლობა იკისროს.

თვით გლეხობაც უნდა ჩაუკვირდეს ამ გარემოებას და ადმინისტრაციამაც მხარი უნდა მისცეს სოფლის საზოგადოებათ. დღეს ჩვენში ხშირად შეჰხვდებით რიგიანსა და ნასწავლს კაცს, რომელიც დიდის სიხარულით იკისრებს მოხელეობას ან მწერლობას, ოღონდ გზაზე ნურავინ გადაეღობება, ოღონდ სოფელმა ისურვოს და ადმინისტრაციამაც ხელი შეუწყოს. აი, ამ გვარი კაცები უნდა აირჩიოს სოფელმა და ამათ უნდა მიანდოს თავისი საქმეები, თუ უნდა, რომ თავი დააღწიოს სოფლის ჭამიებსა და მძარცველებს. თვით ადმინისტრაციაც უნდა ეცადოს, რომ რიგიანი, ნასწავლი კაცები ჩააყენოს სოფლებში, თუ უნდა, რომ სოფელს კარგი პატრონი აურიოს და თავისი მოვალეობაც გაიადვილოს. უფრო-კი ადმინისტრაცია მოვალე ამ გარემოებას ყურადღება ათხოვოს, რადგანაც გლეხმა ხშირად არც-კი იცის ვინ არის ნასწავლი კაცი. გლეხს სწავლულად მიაჩნია სოფლის მწერალიც, რომელსაც ქაღალდის ჯღაბნა და ორიოდე უცხო სიტყვა უსწავლია და ამის საშუალებით მთელის საზოგადოების ვითარებას უკუღმა ატრიალებს. იმაზე მეტი გონების დაბნელება განა შესაძლოა, როცა ადამიანს თავისი დამღუპველი და მჩაგვრელი მიაჩნია სწავლულ კაცად, თუ ამ მჩაგვრელმა ორიოდე უცხო სიტყვა და კალმის ხმარება იცის! სწორედ ამიტომაც მოვალე არის ადმინისტრაცია, რომ გლეხს მიესარჩლოს და მტერ-მოყვარე გამოაცნობინოს, ესე იგი, ნამდვილი მამაშვილობა გაუწიოს.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** გუშინ, ხუთშაბათს, 13 აპრილს, ტფილისში ჩამოვიდა ბუხარის საგანგებო საელჩო, რომელიც გაგზავნილი იყო ბუხარის ხანისაგან პეტერბურგს, რომ მიულოცოს ხელმწიფე იმპერატორს და მის უავგუსტოესს სახლობას სასწაულებრივი გადარჩენა საშინელის განსაცდელისაგან, რომელიც შეემთხვა მის იმპე-

## ფელეტონი

### ომალ-ხან ჩოფანი

ზღაპარი

გაგონილი და ჩაწერილი ჯავახეთში, სოფ. კოთელიაში, ვასილ კოპტონაშვილის მიერ.

იყო და არა იყო-რა, იყო ერთი განთქმული მონადირე. ეს მონადირე დადიოდა ყოველ დღე სანადიროდ და დღეში თითო ირემს ჰკლავდა. ერთხელ მოჰკლა ერთი ჭრელი ირემი, გახადა ტყავი, ცეცხლი აანთო და მწვადებს წვა დაუწყო. ჯერ ერთი შამფური მწვადიც არ შემწვარიყო, რომ მოკლული გატყავებული ირემი გაცოცხლდა და მონადირეს თავზედ წამოადგა. მონადირემ ეს რომ ნახა, შეშინდა, პირჯვარი გადაიწერა და სთქვა: „აი, დიდება შენდა, ღმერთო, ამას რაღა საკვირველებას შევესწარით“. ირემმა ხმა ამოიღო და უპასუხა: „შენ რა საკვირველებას შეესწარი, საკვირველებას ომალ ხან ჩოფანი შეესწროვო“. სთქვა ეს ირემმა და გაჰქრა.

ომალ-ხან ჩოფანიც მონადირე იყო და ირმის მომკვლელი კარგად იცნობდა. ამან სთქვა: „მოდი წავალ ომალ-ხანთან და გამოვკითხავ, ის რაღა საკვირველებას შესწრებია ამაზედ მეტსაო“. სთქვა და წავიდა კიდეც. ბევრი იარა, ცოტა იარა, ეს ღმერთმა იცის. ბოლოს მივიდა ომალ-ხან ჩოფანის სოფელში და იკითხა მისი სახლი. მეზობლებმა მიასწავლეს ამას ომალ-ხან ჩოფანის სახლი. მონადირე ომალ-ხანმა იცნო და სახლში შეიწვია, გამოჰკითხა ამ მთისა, იმ მთისა, მიზეზი მასთან მისვლისა და სხვა. მონადირემ ყოველივე უამბო ომალ-ხან ჩოფანს, რაც ტყეში მოკლულს ირემთან შეემთხვა, და სთხოვა, რომ იმასაც ეამბნა, თუ ის რაღა საკვირველებას შესწრებია ამაზედ მეტს. ომალ-ხან ჩოფანმა თვალებიდგან ცრემლები გადმოყარა და დაიწყო შემდეგი:

„როგორც იცი, წინად მეც მონადირე ვიყავ, დავდიოდი სანადიროდ და თითო-ოროლა ნადირს ვხოცდი და იმითი ვსაზრდოვებდი დღე-დღიურად. ერთხელ წაველ სანადიროდ დილაადრიანად. ამ დღეს ბევრი ვეხეტიალე ტყეებში, ღრეებში, მთებში და უდაბურს ადგილებში, მაგრამ მაინცა და-მაინც ნადირს ვერსად შევხედი და მომაღამებიყო კიდეც. ხშირ-ბინდი კარგად რომ შეიყარა ერთმანეთში, მიველ ერთ მაღალს კლდის ძირში და წამოვწექი დასაძინებლად. ის-ის იყო ძილში მივდიოდი, რომ ერთი რაღაც ხმა შემომესმა. მაშინვე წამოვსჯექი, მაგრამ ხმა აღარ ისმოდა. ვიფიქრე: იქნება ჩემსავით სხვა მონადირეს სადმე დაუღამდა და იმისი ხმა ისმისმეთქი. კიდევ წამოვწექი და უფრო ტკბილს ძილს მივეცი თავი. ის ხმა მეორედ უფრო ძლიერ იყო. ხმა მკაფიოდ გავარჩიე და ასე იძახდა: ქორწილში გვეწვიეთო. კლდიდგან უჩინრადვე სხვა ხმამ პასუხი გასცა: მადლობელი ვარ, ვერ წამოვალ, ამაღამ სტუმარი მყავს შემოხიზნული, მობარებულიო. საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა იმ არე-მარეში. მე კვლავ პირჯვარი გადავიწერე, დავსწექი და ვსთქვი: ამ კლდის—„ენის“ პატრონო, შენი სტუმარი ვარ, შენ შემინახდამიფარე ამაღამაო. უცბად ხმამ კიდევ დაიძახა: „კაცო, რად არ წამოხვალ ქორწილში და თან არ წამოიყვან მაგ სტუმარსაცა? ორივენი წამოდითო“. კლდიდამ პასუხი აღარავინ გასცა. შევხედე და კლდიდგან ერთი მაღალ-მაღალი ნაბდიანი კაცი გამოვიდა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: სტუმარო, ადე ქორწილში წავიდეთ, გვეპატიჟებიანო. მეც ავდექი და გავყევი. მასპინძელი წინ მიმიძღოდა, მივყავდი ისე საშინელ კლდეებზედ და ხევ-ხუვებისკენ, რომ თვალები მიჭრელდებოდა შიშისაგან. ბოლოს შევედით ერთს ვიწრო კარებიან მარანში, ვიდრე შიგნით სახლში შევიდოდით, ერთი ყვირილ-კიჟინი მოგვედინა მექორწილეებისა და ჩემმა მასპინძელმა მითხრა, რომ ვიდრე მე არ გეტყვი, ნებას არ დაგცემ, პური არა ჭამო, თუმცა-კი მექორწილეები მოგთარჯამენ სასმელ-საჭმელს. ამით მე შენ ბედსა გწევო. მე-კი ვკანკალებ, ვცახცახებ შიშისაგან...

„შევედით შიგნით, მექორწილეებთან. ხალხით გაჭედილი იყო იქაურობა. ნეფე-დედოფალი ისხდნენ ხალიჩა-გაშლილ ტახტზედ და თეთრი, დიდრონი კბილები ეკრიჭათ შავ-შემურვილს პირი-სახეზედ. მეფეს წვერი ფეხებამდისინ გასთრევდა და დედოფალს თავისი სიგრძე ცხვირი გაეშვირა. მე მაშინვე მივხვდი, რომ ეს ეშმაკებ-ქაჯების ქორწილია-მეთქი. ჩვენ, როგორც სტუმრებს, პატივი გვცეს და ნეფე-დედოფლის ტახტზედ დაგვსვეს. საკვირველი სანახავები ვნახე აქ: თითოეულ ეშმაკს შემოჰყავდა შველ-ირემი ცოცხალი, ჰხოცავდნენ, ხორცს ცეცხლზედ შედგმულსა და ადუღებულს ქვაბში ჰყრიდნენ. მოხარშვის შემდეგ ყველას კერძებს ურიგებდნენ, ირმის ყოველსავე ძვლებს ტყავში ახვევდნენ, ჯოხს დაჰკრავდნენ, ირემი ისევ ისე ცოცხლდებოდა და გარბოდა კარში. მე რამდენჯერაც კერძი მომიტანეს, იმდენჯერ უარი უთხარი, არა ვსჭამევი პური. ნეფემ ჩემი პურის უჭმელობა შენიშნა და ჩემს მასპინძელს გაჯავრებითა და გაწყრომით უთხრა: «კაცო, რად მარცხვენ, რატომ სტუმარს პურ არ მიჰმიებო?» —ჩემმა მასპინძელმა უპასუხა: „პურს იმიტომ არა სჭამს, ჩემო დიდებულო მეფევ, რომ მონადირე კაცი ყოფილა და თქვენგან წყალობას რასმეს გამოელისო“. „მა კაცს პური-კი მიჰმიეთ ოღონდა, რახან მონადირე ყოფილა, დღეში სამის ირმის მოკვლის იღბალი მიმინიჭებიაო“. ჩემმა მასპინძელმა პურის ჭამის ნება მაინც არ დამრთო. „ნებას რატომ არ აძლევ მა კაცსა პური ჭამოს, ნუ ჩამაძვრინე სირცხვილშიო“, განიმეორა უფრო გა-

რატორებითს უდიდებულესობას შარშან 17 ს ღვინობისთვეს ხარკოვის რკინის გზაზედ. გარდა ამისა ეს საელჩო დავალებული იყო მადლობა მოეხსენებია რკინის გზის გატარებისათვის ბუხარის სამფლობელოში. საელჩო ჩამოხდა «კავკასის» სასტუმროში.

*_* ტფილისში და მის გარს ჯერ ჯერობით ტაროსი დონეზე არ დამდგარა. ორი-სამი დღე რომ სითბოა, მერე ხან ქარია, ხან წვიმა და ხან სიცივე. აღდგომის დღეებში, 8, 9 და 10 აპრილს, ისეთი სიცივე და ქარი იყო, რომ ხალხი ზამთრის ტანისამოსით დადიოდა. სოფელ ტაბახმელას წყალი ისე გაუყინავს, თითქო იანვარი იყოსო. ამის გამო იშვიათს სანახავს ვხედავთ. ტფილისში მერცხალი ყოველთვის მარტის დამლევსა და აპრილის დამდეგს მოსულია. წელს-კი, თუმცა პირველად მარტის 25 დავინახეთ და აპრილის 2-ს თითქოს მოხშირებით გამოჩნდა, მაგრამ ახლა აგერ დღეს 13 აპრილია და ათასში ერთხელ ძლივსა ვხედავთ.

*_* „მშაკში“ იწერებიან, რომ ამ ქამად წინანაურის გზაზე, ორთაჭალის ბაღებთან, ჩარჩების დასტები სხედან და სოფლებიდგან მომავალ გლეხებს არ უშვებენ ქალაქში ხორაგეულობა შემოიტანონ. სახედრებსა და ცხენებზე აკიდებულს საპალნეებს უჭერენ, სცემენ გლეხებს, სანამ თავის ნებაზე გადაჭრილ ფასით არ გამოჰგლეჯენ ხელიდამ. საკვირველია, რომ ამას თვალ-ყურს არ ადევნებს ქალაქის გამგეობა ქალაქის მიჯნებში და მაზრის ადმინისტრაცია მაზრის მიჯნებში. „ივერიაში“ ამ გვარი მაგალითები ბევრი მოგვიხსენებია, რომ თვით ქალაქშიაც-კი გლეხ-კაცებს მოსვენება არა აქვსთ ჩარჩებისაგან. ქალაქის გამგეობას ვალი ადევს თვალ-ყური ადევნოს ჩარჩების ყოფა-ქცევას და როდესაც საჭიროა, სთხოვოს მაზრის ადმინისტრაციასაც ღონის-ძიება რამ იხმაროს უწესოების მოსასპობლად.

*_* ბ-ნმა ნ. საძაგლიშვილმა შემოსწირა «წერა-კითხვის საზოგადოებას» რამდენიმე ძველი ფული ერევნის გუბერნიაში, უშაგონში ნაპოვნი. ამ ფულებში რამდენიმე ძველი ქართული ფულიც იპოვება. მართველობა საზოგადოებისა მადლობას უძღვნის შემომწირველს.

*_* ოზურგეთიდგან ბ-ნ შ. შ—ისაგან ჩვენ მივიღეთ 51 მან. და 80 კაპ. „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ შეკრებილი, რომელიც უკვე გადავეცით დანიშნულებისამებრ, და შემდეგი სია შემომწირველთა:

შ. შ—მა 6 მან., ქ. 5 მან., ს. აბესალაშვილმა 3 მან., ს. ფარეიშვილმა 2 მან., ალ. ხორბალაძემ 2 მან., ნესტორ ურუშაძემ 2 მან., ზ. შანიძემ 1 მან., დიაკონმა მ. სვანიძემ 40 კაპ., ბესარ. ფ. კალანდაძემ 1 მან., არხიმანდრიტმა ამბროსიმ 2 მან., ჯამულეტ ბაქუნაიშვილმა 2 მან., ნ. 1 მან., მღვდელმა სილ. ჩხაიძემ 1 მან., ყარამან მამულაიშვილმა 1 მან., ნინა ი. ქიქოძისამ 2 მან., კესარია ღლონტისამ 2 მან., ანნა თაყაიშვილისამ 1 მან., ილია ჭყონიამ 3 მან., თავ. თ. გ. ნ—ძემ 1 მან., კოსტ. კვაშალიამ 50 კაპ., მოსიკო კალანდაძემ 50 კაპ., კოსტ. თავართქილაძემ 2 მან., მღვდ. რომანოზ დარჩიამ 2 მან., აზნაურ პლატონ ბერიძემ 1 მან., ნ. ნ. 2 მან., გრიგ. ჭიჭინაძემ 1 მან., ლუკა კუპრაძემ 1 მან., ივანე ჯაყელმა 20 კაპ., ილია შაინოვმა 1 მან., ილარ. ჭეიშვილმა 1 მან., მაქსიმე ნაკაიძემ 20 კაპ., თავად ლევან მიქელაძემ 1 მან.

*_* ქუთაისი: წუხელ მიღებულმა „ივერიის“ მე-71 ნუმერმა ძალიან შეგვაფუცხუნა აქაურები. ამ ნუმერმა მოგვიტანა ის ამბავი, რომ ჩვენი ქართული დასი არამც თუ აპირებს კავკაეში მობრძანებას, არამედ თვით წარმოდგენისათვის პიესებიც დაუნიშნავთ. ამასთან მოსვლის ვადა კვირაცხოვლობა დაუდეიათ. რასაკვირველია, დავეჭვეცურდით, რომ ეს დაწყობილობა და სასიამოვნო ამბავი არ ჩაგვეფერხოს და ამის გულისათვის მოვამზადეთ ორი ხელის მოსაწერი ფურცელი მსურველთათვის. ეს ორი ფურცელი არის აღნიშნული ორი ქართულ წარმოდგენისათვის და აქედგან გავიგებთ, რა შემოსავლის იმედი უნდა ჰქონდეს წარმოდგენების გამმართველს. რასაკვირველია, თავის დროზე ტელეგრამმით ვაცნობებთ „ივერიის“ რედაქციას. რაღა თქმა უნდა, თეატრის დაქირავებისათვისაც ვიფიქრეთ და აღმოჩნდა, რომ აღდგომის შემდგომიდგან დაწყებული ათის წარმოდგენისათვის თეატრი მიუციათ რუსულის საოპერეტო დასისათვის. მაშასადამე, ქართულს დასს მოლაპარაკება დასჭირდება ამ დასთან და რამდენად მოსახერხებელია ეს საქმე, ეს თითონ დასისათვის მიგვინდვია.

*_* სოფ. ხორგა (ზუგდიდის მაზრა): როგორც იყო, ჩვენ, ხორგელებს, დიდის ხნის მოლოდინი შეგვისრულდა. აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენის ორ-კლასიან სასოფლო სკოლის ნორმალურ სამინისტრო სასწავლებლად დამტკიცებას მოველოდით და დღეს კიდეც ვეღირსეთ ამ დამტკიცებას. ხორგელები ამ ამბით უფრო წახალისდნენ და შეუდგნენ სასწავლებლის შენობის გადაკეთებას, რისთვისაც 750 მანეთი ხარჯი კიდეც იკისრეს.

*_* აქედამვე: მეტი არ იქნება, ცოტა რამ ჩვენს გაჭირებულს მდგომარეობაზედაც მოგახსენოთ წრევანდელი წელი სწორედ საცალოდ და თავში საცემი შეიქმნა ჩვენთვის: ჯერ არის და ეგ საადგილ-მამულო გადასახადი მოგვადგა კარზე, ისიც სამის წლისა ერთად, და ლამის ზოგიერთ მემამულეთ მთლად აიღონ ხელი მამულებზე. საქმე ის არის, რომ ზოგიერთმა ვაჭბატონებმა ადგილ-მამულის რაოდენობის აღწერის დროს იმდენი ჩაიწერეს, რამდენიც სიზმრადაც არ მოლანდებიათ და ეხლა რომ ზომაზე მეტი გადასახადი მოადგათ, დაიწყეს დრტვინვა, მაგრამ გვიან-ღაა. ეს ერთი მეორე ისა, რომ წელს სიმინდს ფასი სულ დაეკარგა: ერთი ფუთი სიმინდი 35 კაპ. გაჰხდა, როდესაც შარშან ფუთი 80 კაპ. ისყიდებოდა. ასე და ამ გვარად დიდი ქესატობაა ჩვენში. წელს ერთის თუმნის შოვნა უფრო საძნელოა ჩვენში, ვიდრე შარშან ასის თუმნისა იყო. ვისაც უჭირდა, რაც უნდა ექმნა, რომ არ გაეყიდა სიმინდი ფუთი 35 კაპ. უმეტესობას-კი ჯერჯერობით არ გაუყიდნია და გულხელ დაკრეფილი შეჰყურებს სავსე სასიმინდეებს, აცა როდის დაგვიდგება კარგი მაზანდაო.

*_* ზუგდიდის მაზრა: ვინ წარმოიდგენს, თუ რა ყოფაში ჩაგვაგდეს სოფლის მოხელეებმა, ნამეტურ სოფლის მწერლებმა. მსაჯულობის განაჩენი ხომ ამათ ნებაზეა დამოკიდებული. ვისაც მწერალი მიემხრობა, ბურთი და მოედანი უსათუოდ იმას დარჩება. მიმხრობა მწერლისა თუ რაზეა დამოკიდებული, ეს ხომ ყველამ კარგად იცის. განაჩენის დადგენის დროს მწერლები სცდილობენ მსაჯულები თავის ნებაზე დაიყოლიონ და თუ, ვინიცობაა, ვერ დაიყოლიეს, მაშინ ხომ მწერალია და როგორც უნდა, ისე სწერს... ამ რამდენისამე ხნის წინად ჭრთის სოფლის მსაჯულებმა კიდეც უჩივლეს თავიანთს მწერალს, მაგრამ ჯერ-ჯერობით იგი კიდევ განაგრძობს თავის ხელობას. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ამ მწერალს ერთი ვინმე გავლენიანი კაცი ეწევაო. უჩივლებენ თუ არა, იგი მწერალი მაშინათვე თავისის მფარველის სახლის კარებში გაჩნდება და იქიდამ დაბრუნებული მომჩივანს ემუქრება: მე შენისთანები ვერას დამაკლებენ, იმისთანა კაცი მყავს სათავეშიო. ამასაც მოგახსენებენ, რომ სოფლის მწერლებს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ-კაცებისათვის დაუცინცლიათ რამდენიმე თუმანი ფული თავისს მფარველის სახელით.

*_* აქედამვე: ამ ქამად ქურდობა-ყაჩაღობის ხსენებაც აღარ ისმის არამც თუ ჩვენში, არამედ მთელს ზუგდიდის მაზრაშიაც. ყველგან სოფლებში სამ-ოთხ ადგილას საყარაულოს შეხვდებით, სადაც ყოველ დღე ღამეობით ყარაულობს რამდენიმე შეთოფ-იარაღებული კაცი. თუმცაღა სოფლებისთვის ეგ ყარაულობა ძნელი აღსასრულებელი შეიქნა, მაგრამ უნაყოფოდ-კი არ ჩაუვლია: შინაური ბაცაცა-ქურდები ყველანი მიყუჩდნენ, თითქო ქორმა დაჰქროლა ზევიდამ წიწილებსაო... არც გარეთ გავარდნილს ყაჩაღებს დაჰყვიათ ხეირი: ზოგი დაიჭირეს და ზოგი ტყვიის მსხვერპლი გაჰხდა. აი, მაგ., ამ რამდენისამე ხნის წინად მოჰკლეს გამოჩენილი ავაზაკი სტეფანე ჯავა, რომელიც თხუთმეტი წელიწადი ყაჩაღად გავარდნილი დადიოდა. მოჰკლეს აგრეთვე მთელის ყაჩაღობისა და ავ-კაცობის მოთავე სოლომონ ხვიტია.

---

## უცხოეთი

საფრანგეთი. მოგვყავს სიტყვა ქიულ ფერისა ბულანჟეობის წინააღმდეგ: ბატონებო, ეხლა დადგა სწორედ კარგი დრო. ამისთანა კარგი დრო დიდი ხანია არ დაგვდგომია, თუ მართლა ბრძოლა გვინდა ბულანჟესა და და იმის მომხრეებთან. ხანდახან ბოროტებასაც მოაქვს სიკეთე. 15 იანვრის არჩევანები უბედურება და ბოროტება იყო. ეჭვი არ არის ამაში და ტყუილად ნურავინ ნუ დაიბრმავებს თვალებს. მაგრამ ამ უბედურებამ ორი სიკეთე შეგვძლენა: ერთი ისა, რომ მთავრობამ გაიღვიძა და მეორე ისა, რომ ზომიერნი რესპუბლიკელნი გამოფხიზლდნენ. მთავრობამ გაიღვიძაო? დიაღ, გაიღვიძა და დაანება თავის ფილოსოფოსობას პოლიტიკაში. ძლივს მიხვდნენ, რომ ცხადი შეთქმულობა დღისით მაინც იგივე შეთქმულობაა, რომელიც დაფარულია და ღამით მოქმედობს; მიხვდნენ ბოლოს, რომ რესპუბლიკის მთავრობაც ისეთივე მთავრობაა, როგორც სხვა მთავრობანი; რომ იმასაც სიცოცხლე უნდა და ნებაცა აქვს იცოცხლოს, ხოლო, რა-კი ნება აქვს სიცოცხლისა, მაშასადამე ნებაცა აქვს თავი თვისი დაიფაროს და დაიცვას; მთავრობა მიხვდა ბოლოს, რომ იმასაც, როგორც სხვა მთავრობასაც, ხელში უნდა ეპყრას სასწორი სამართლისა და მახვილი და არა სალოდავი ყლორტი ვიღაც ვითომ წამებულისა და დევნილისა. რესპუბლიკის მტრები დიდად შეაფუცხუნა ამ გაღვიძებამ მთავ-

---

ჯავრებით ნეფემ. ჩემმა მასპინძელმა კვლავ მოახსენა: „მონადირე კაცია, ის რაც უწყალობეთ იცოტავა და უფრო მეტს წყალობას გამოელის თქვენგანაო“. „მა მონადირეს ოღონდ ეხლა-კი პური მიჰმიეთ და ყოველ დღეს ცხრა ირმის მოკვლის იღბალი მიმიციაო“. მასპინძელმა მაშინ-კი პურის ჭამის ნება დამრთო. ვახშმის შემდეგ მექორწილეებმა ფერხული დააბეს და დაფა-ზურნაზედ თამაშობა იწყეს. ფერხულში მეც ჩამიბეს. მოფერხულეთ რიგით სიმღერა დაიწყეს და თან ვამჩნევდი, რომ გარეთკენ მიიწევდნენ, მეც თან მივჰყავდი. ბოლოს სიმღერის დაძახების რიგი ჩემზედ მოდგა და დამიწყეს, რომ უჰველად შენც უნდა იმღეროვო. მეც ესე დავიწყე: „წინდა მეცვა ხეშისა, ქალამანი მეშისა, წმინდა გიორგო, შენ დასწყევლე, ეშმაკების ფერხისაო!..“ წმინდა გიორგი ვახსენეთ თუ არჰე, წყეულებმა ერთ-ხმივ დაიწივლეს და გადაცვივდნენ აქეთ-იქით კლდეებში. მხოლოდ ჩემი მასპინძელი ჩემთანვე იდგა გაშეშებული და იკრიჭებოდა საზიზღრად. ჩვენ ამ დროს ვიდექით ერთ საშინელ ფრიალო კლდის პირას. თურმე იმ წყეულებს მივყავდი ამ კლდეზედ გადასაგდებად, კიდევაც გადამაგდებდნენ, თუ რომ წმინდა გიორგის სახელი არ მეხსენებინა. ამის შემდეგ ჩვენ წამოვედით ჩვენსავე ბინაზედ. მე ისევ ჩემს ნაწოლ ადგილას დავსწექი და მასპინძელი — თავის კლდეში სადღაც გაჰქრა.

„მეორე დღეს ავდექი დილა ადრიანად, ვახსენე ღმერთი და გაველ სანადიროდ ტყეში. ამ დღეს მართლა ცხრა ირემი ზედი-ზედ მოვკალი. ორი ირემი ზურგზედ ავიკიდე და წამოველ შინ, დანარჩენი ირმები-კი იქვე დავყარე, რადგან ველარ შევიძელ მათი წამოღება.

„შინ რომ მოველი, ჩემს ცოლს ძალიან გაეხარდა ირმების დახოცა. მე ერთი კოჭლი ძმა მყავდა. ამან მითხრა, რომ სანადიროზედ მეც წამოგყვები და ირმების ზიდვას გიშველიო. მეორე დღეს ორივენი წავედით სანადიროდ. ამ დღესაც ცხრა ირემი მოვკალი. საღამო ჟამს ისევ სახლისკენ დავბრუნდით: ორი ირემი ჩემმა კოჭლმა ძმამ აიკიდა და ერთი-კი მე. მოვედით ჩვენის სოფლის მახლობლად, მაგრამ, დახე უბედურებას, სოფლის წინ ჩამომდინარე პატარა ნაკადული ავდრისგან, წვიმისგან ადიდებულიყო და მასში გასვლა შეუძლებელი იყო. კოჭლმა ძამ მითხრა: „თუ შენ მაგ ირმის გამოტანა არ შეგიძლიან, ეგეც მე ამკიდევი, შენც ზედ შემჯექი და წყალში გავიყვანო“. მეც დაღალულ-დაქანცული ვიყავი ირმების ხოცვისაგან, ის ერთი ირემიც ჩემ ძმას ავჰკიდე, მეც ზედ გადავუჯექ და გამოღმა მშვიდობით გამოვედით.

„ყოველივე ეს ბანიდგან დაენახა ჩემს ცოლს და ძალიან სწყენოდა, როგორ თუ კოჭლმა ძმამ ვაჟკაცობით აჯობა ჩემს ქმარს და ირმები მონადირითურთ ზურგით წყალში გამოიტანაო. ჩემს ცოლს მოეწონა კოჭლის, თავის მაზლის ვაჟკაცობა. მე მისვლისავე ცოლმა ერთი რაღაც ნაირი მათრახი გადამკრა და ძაღლად მაქცია; თითონ-კი ჩემს კოჭლს ძმას შეჰყვარდა და ცოლ-ქმრობის კავშირით სცხოვრობდნენ.

„მე თუმცა ძაღლად ვიქეცი, მაგრამ ჭკვა-გონება-კი ისევ ადამიანისა მქონდა, მხოლოდ ლაპარაკით ვერ ვლაპარაკობდი. ვეგდევი სალოდავად ჩემს კარ-მიდამოზედ! არას მაჭმევდნენ, სასტიკად მცემდნენ და შიმშილისაგან ღონე-მიხდილი მქონდა..

„შუა დღე იყო. ერთმა ცხენიანმა მღვდელმა ჩვენს კარებზედ ჩამოიარა. მე ვიფიქრე: მოდი ამ მღვდელს გავჰყვები, იქნება გაეხარდეს და მაჭამოს რაიმეო. თქმა და უკან დადევნება ერთი იყო. სოფელს გარედ რომ გავიდა, მღვდელმა უკან მოიცქირა და მე დამინახა. მღვდელს ძალიან გაეხარდა, რომ გზაში ამხანაგი მიშოვნა და ნადირის შიში აღარ ექნებოდა. ამოიღო ხურჯინიდგან ერთი მთელი პური და გადმომიგდო. პური ხარბად შევსჭამე, კარგად გამოვძეხი და კვლავ გამოვეკიდე მღვდელს.

„ხშირ-ბინდი იყო, რომ მე და მღვდელი ერთს მეცხვარეების ფარეხთან მივედით. მღვდელი დაინახეს მეცხვარეებმა თუ არვე, გაეხარდათ და ცხვარი დაუკლეს. მღვდელმა, თავისებურად, ჰკითხა მეცხვარეებს: „რასა იქთ, შვილო, ხომ კარგათ ხართ, ცხვარი ხომ მშვიდობითა გყავთო“. მეცხვარეებმა შესჩივლეს მღვდელს, რომ ღამე ფარეხში მგლები შემოჩვევულები გვყვანან და დიდს ძალს ცხვარს გვიწყვეტენო. მღვდელმა, სანუგეშოდ მეცხვარეებისა, მოითითა ჩემსკენ, რომელიც იქვე ვეგდე და ახლად დაკლულის ცხვრის ნაწლავებს ვსჭამდი, რომ ამ ძაღლს დაგიტოვებთ აქ და იმედია ბოლოს მოუღებს მგლებსაო. მეცხვარეებმა მღვდლის ამ გვარი მითარჯა სიცილად არ იკმარეს და ასე უთხრეს: „ეჰ, მამა მღვდელო, რას გვიბრძანებთ, მაგისთანა გოშიები ოცივა გვყავს, მაგრამ მგლებს მაინც თავისას ვერ აშლევინებენო“.

„მეცხვარეებმა და მღვდელმა ვახშამი ჭამეს და ძილს მიეცნენ. მეც ავდექი, კარგად გამაძღარი, და შიგ ფარეხის კარში ჩავსწექი ფხიზლად. შუა-ღამე რომ შეიქმნა, ოც-და-ათამდე მეტი მგელი მოვიდა ფარეხის კარებთან და დააპირეს ფარეხში გადასვლა. მე მაშინვე ვეცი მგლებს და ოც-და-ათნივენი იქ მივაწვინე, დავახრჩე.

„მეორე დღეს ყოველივე ნახეს მღვდელმა და მეცხვარეებმა, გაიგეს, რომ ეს ჩემი საქმე იყო და დიდად გაჰკვირდნენ. მეცხვარეებმა მღვდელს ორასი სული ცხვარი მისცეს და მე

რობისამა, იმათ რომ ჰკითხოთ, მთავრობამ თავისა და თავის დიდებულ პრინციპების სასახელოდ უნდა აიღოს და თვით მოიკლას თავი, თვით გაუქმდესო. არ ვიცით, ბატონებო, არიან კიდევ სადმე ქვეყანაზედ ასეთი რესპუბლიკელები, რომ სწამდეთ თავისი პრინციპები და აჰყვნენ ასეთს ლაპარაკს და ან მოსტყუვდნენ ასეთის საკენკით. ასე თუ ისე, მე მაინც ვსთხოვ რესპუბლიკელებს კარგად ჩაუფიქრდნენ ედგარ კინის ძლიერ სიტყვებს: „ისტორიას სძაგს ალალნი და გულმართალნი და თითქმის ისე უცქერის, როგორც დამნაშავეთა“. მე მგონია, საქმე უკვე გადაწყვეტილია და რესპუბლიკელები ასეთს ალალმართლობას არ დაიწყებენ, არ უნდათ დღეს და არ მოინდომებენ შემდეგაც.

რაკი მთავრობამ გაიღვიძა, მასთან ერთად გაიღვიძა და გამოფხიზლდა ერთი დიდი დასი რესპულიკელებისაცა, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია თვლემასა და ძილს უნდებოდა. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რასაც თქვენი ბედნიერი თვალიც კარგადა ჰხედავს. ყველგან წამოიწიეს ზომიერმა რესპუბლიკელებმა და მთავრობის მომხრე რესპუბლიკელები ფეხზე დგებიან. იმედები იღვიძებს პარიჟშიაც და დაბა და სოფლებშიაც. თქვენც კარგად შენიშნავდით, რა ნაირ იღვიძებენ და მოქმედობენ ზომიერნი, რომელნიც აქამომდე სულ ტიერისა და დიუფორის ხსენებაში იყვნენ, ოხრავდნენ წარსულისათვის, კონსერვატორობდნენ და მხოლოდ ეხლანდელს დემოკრატიის დაცინვაში ირთმევდნენ სულს. აი ამათ შეადგინეს ახლა დასი მოქმედებისათვის. დიდი სიკეთეც დაიბადება, თუ რესპუბლიკელმა კონსერვატორებმა დაიწყეს მართლა საქმობა, თუ მიჰმართეს ერს და დაუწყეს ყველას ქადაგება და ჩიჩინი. დიდი სიკეთე დაიბადება იმიტომ-რომ ისინი გამოცდილნი არიან, განათლებულნი, დიდი სახელი აქვთ და პატივცემულნიც არიან საზოგადოებაში.

ზომიერ რესპუბლიკელთ გამოფხიზლებას ერთი სიკეთე თან მოჰყვა. თუ ზოგიერთ გაბედულება მიემატათ, სამაგიეროდ და ჩვენდა სასიამოვნოდ რადიკალებიც ძველებურად აღარ ჰირვეულობენ. ესეც დიდი ამბავია. იმისთანა უბედურება არა იყო-რა რესპუბლიკისათვის, რომ სარესპუბლიკო დასში უთანხმოება სუფევდა. ის უთანხმოება-კი არა, რომ ერთი სხვაფრივ ჰფიქრობს, მეორე კიდევ სხვაფრივ. არა, ესეთი უთანხმოება ბუნებური მოვლენაა, კაცთა ჰკუა-გონების ხვედრი და თვისებაა. ამ ორ დასს შუა ის დიდი უთახმოება სუფევდა, რომელიც მოწინააღმდეგეს არას უთმობს, პირში სიტყვას აწყვეტინებს, ანჩხლობს, ჰბრაზობს და მზად არის თავ-პირი ჩამოაკაწროს. დღეს ამას აღარა ვხედავთ. ეხლა ორივე დასი შეწყნარებით შესცქერის ერთმანეთს, თითქო ამის თქმა უნდოდეს: ამდენი სიმწარე ვნახეთ ერთმანეთის წეწვა-გლეჯით და ახლა მაინც მოვრიგდეთ ისე რომ ჩვენ ჩვენს აზრებს-კი ნუ დავთმობთ, მხოლოდ ერთმანეთის ლანძღვა-გინებას, ერთმანეთის თრევასა და კილვას ვერიდნეთ სარესპუბლიკო ქვეყნის წინაშეო, ასე მოვრიგდეთ, ასე მოვიქცეთ საერთო არჩევანებამდეო“. ბატონებო მე მგონია ეს ნიშნები ფრიად საიმედო ნიშნებია. განგებ ვაქცევ ამ საგანს თქვენს ყურადღებას. იქნება იფიქროთ, აზვიადებს სასიკეთო ნიშნებსაო. დიაღ, იქნება ვაზვიადებდე კიდეც, მაგრამ ასე თუ ვიქცევი, იმიტომ ვიქცევი, რომ მეშინიან, ჩემს დასსაც არ შეჰხვდეს ის ზნეობრივი ჭირი, რომელიც ასე საშინლად მძვინვარებს ამ ჩვენის საუკუნის დამლევს. ეს ჭირია პესიმიზმი, გულ-გრილობა, გულ-აცრუება, რომელიც ასე ფარფაშობს დღეს ლიტერატურასა და მწერლობაში და ლამის მოძღვრებადაც გადიქცეს. თქვენი მტერი, თუ ეს მოძღვრება პოლიტიკაშიაც გაბატონდა და რესპუბლიკელთა შორისაც ჩათესლდა, მაშინ მშვიდობით, საფრანგეთო! დიე, მე ოპტიმისტი დამარქვან, სავსე იმედითა და სასოებით, მე მაინც იმას ვიტყვი, რომ ეხლა მეტად გამრავლდნენ ისეთნი, რომელნიც სასოწარკვეთილებას ეძლევიან და უიმედობით აღვსილან ქუჩა-ქუჩა ბევრნი დადიან და გაიძახიან: იერუსალიმ, იერუსალიმ, ვაი შენდაო. ხოლო ისეთები-კი ცოტანი არიან, რომელნიც კედლებზე აღიოდნენ იერუსალიმის დასაცველად. ამასობაში სრულიად გვავიწყდება, რომ გამარჯვება ბოროტის ხალხისა შედეგია პატიოსანთა სისუსტისა და რომ გაიძვერა კაცი ხშირად შეიძენს ხოლმე სახელსა, რაკი უკვირთ იმისი გაიძვერობა იმათ, ვინც არც-კი იციან, რა არის გაიძვერობა. განა არ ამჩნევთ, რომ ჩვენი პარიჟი, ჩვენი საფრანგეთიც დიდი ხანია ასე გაკვირვებით შესცქერის გაიძვერასა და თავზე ხელ აღებულს? აი ამიტომ არის საჭირო ძრიელი, მხნე მთავრობა. უამისობა იყო მიზეზი, რომ ბევრმა ზურგი შემოაქცია რესპუბლიკას ბევრნი ეხლაც ამბობენ, რომ გათავდა, ბოროტებას აღარა ეშველება-რა, მთავრობის სისუსტე სენად გადაგვექცაო. მაგრამ მართლა ასე-კია? ბატონებო,—ასე გაათავა ბოლოს თავისი ლაპარაკი ორატორმა: 40 წლის წინად თავისუფლება დათრგუნა ჩვენში იმ უბედურებამ, რომელიც ძალიან ბევრში ჰგავს ეხლანდელს ჩვენს უბედურებას, მაგრამ მაშინ შეთქმული ძლიერი იყო, იმის ხელში იყო ყოველი ძალა საფრანგეთისა. ეხლა-კი სულ სხვაა. რესპუბლიკას უპყრია ხელმწიფება, იმასა ჰყავს თავის დასაცველად უმრავლესობა პალატაშიაცა და სენატშიც. იგი ყოვლად ძლიერია. იგი უზენაესის ძალით არის შეჭურვილი. და მერე ასეთი რესპუბლიკა ნებას მისცემს ვისმე, რომ ხელიდამ გამოაცალონ ის საუნჯე, რომელიც მიიღო მამათაგან შვილთათვის გარდასაცემად? როგორ? ნებას მისცემს ვისმე დაანაწილონ, გაჰყლიტონ, შეარცხვინონ, გააუნამუსოვონ, შეურაცხჰყონ ჩვენ თვალ-წინ ჩვენის უსაქმობისა და გულ-გრილობის წყალობით? ბატონებო, რა ზიზღით მოიხსენიებს მერე ისტორია იმ დასს, რომელიც-კი ასე თავს გაანადგურებინებს მტერს? საკმაო, საკმაო ისიც, რომ ბულანჟეობამ მთელს ევროპაში გაგვხადა დღეს სამასხაროდ. ჩვენზეა დამოკიდებული, რომ იმავე ბულანჟეობამ ისტორიის სამასხაროდაც არ გაგვხადოს 1889 წლის რესპუბლიკელები!“

## წვრილი ამბავი

ინგლისის საზოგადოებათა პალატაში ორი კანონ-პროექტი შეუტანიათ, რომელიც ნოქარებისა და მოსამსახურეების მდგომარეობას შეეხება. ერთში ნათქვამია, რომ მაღაზიები საღამოს რვა საათზე უნდა დაიკეტოს ხოლმეო; მეორე კანონ-პროექტი ამბობს, რომ მედუქნეებს კვირაში ერთს დღეს აღკრძალული უნდა ჰქონდეთ ვაჭრობაო.

— პარიჟის „Archive judaique“ ამბობს: მთელს დედამიწის ზურგზედ სულ 6.300,000 ებრაელი სცხოვრებსო: ევროპაში—5.400,000, აზიაში—30,000, აფრიკაში—35,000, ამერიკაში—250,000. ავსტრალიაში მცხოვრებ ებრაელთა რიცხვი ჯერ არ იციან, მაგრამ ბევრი-კი არ უნდა იყოს. ევროპაში მცხოვრებ ებრაელთაგან უმეტესობა—2.552,000 რუსეთში სცხოვრებს, ამ რიცხვშია პოლშაში მყოფი 768,500 ებრაელიცა, ავსტრიაში სცხოვრებს 1.644,000, გალიციაში—688,000, გერმანიაში—562,000, რუმინიაში—263,000, ოსმალეთში—105,000, ნიდერლანდებში—82,000, საფრანგეთში—63,000 და იტალიაში—40,000. პალესტინაში ებრაელთა რიცხვი 25,000 არ აღემატება.

— შეერთებულს შტატებში ამ უკანასკნელს ოცს წელიწადს თანდათან უფრო და უფრო ხშირდება თურმე ცოლ-ქმრის გაყრა, განშორება, განქორწინება. 1867 წელს თუ 9,937 ცოლ-ქმარი განქორწინდა, 1886 წ. 25,535-მდე იყო თურმე ცოლ-ქმრის განშორების მაგალითი. მართალია, შეერთებულ შტატების მკვიდრთა რიცხვმა ამ დროს განმავლობაში 60% იმატა, მაგრამ ეს გარემოება კიდევ არ გვიჩენს მიზეზს განქორწინების მომატებისას 156%-ით. საჭიროა აქვე ვსთქვათ, რომ 1870 წელს ყოველ 664 ცოლ-ქმარში ერთი შორდებოდა ერთმანეთს, 1886 წელს-კი ერთი—479 ცოლ-ქმარში. შეერთებულს შტატებში ამ უკანასკნელს ოცს წელიწადს სულ 328,616 ცოლ-ქმარი განქორწინებულა.

— შეერთებულ შტატების საზოგადოება საშინლად არის აღელვებული იმის გამო, რომ არა-წლოვან ყმაწვილთა შორის თამბაქოს ხმარება ამ ბოლოს დროს ძალიან ხშირდება. ბევრს შტატში კანონით სცდილან, რომ ეს ჩვეულება ამოფხვრან როგორმე. კონექტიკუტში გამოუციათ ბრძანება, რომ ჩვიდმეტს წლისაზე პატარებს აღკრძალული აქვსთ თამბაქოს წევა. რომელი ვაჭარიც არა წლოვანს ერთს პაპიროსსაც არის მიჰყიდის, 50 დოლარი უნდა გადაიხადოს ამ უკანონო საქციელის ჯარიმად. ამას გარდა თუ არა სრულ-წლოვანს ყმაწვილს ქუჩაზე, ან სხვაგან საზოგადოების შესაკრებელს ადგილში მიასწრეს და დაუნახეს, რომ თამბაქოს ეწევა, 7 დოლარით უნდა დაასჯარიმონ.

— საფრანგეთში მაქსიმე ლისბონი ყოველ გვარს ხერხსა ჰხმარობს, რომ მიიქციოს როგორმე ყურადღება. აი ამას წინადაც ამ კაცს შემდეგის წერილით მიუმართავს იუსტიციის მინისტრისათვის: „მოქალაქევ მინისტრო! მაქვს პატივი გთხოვო, რომ ჩემი გვარი ლისბონი პორტუგალად იქმნეს შეცვლილი. ჩემს გვარს ლაქასა სდებს და ჩირქსა სცხებს ის კანონი ბეჯდვითს სიტყვაზედ, რომელიც ჩემმა მეგვაროვნემა და ნათესავმა შეიტანა სენატში. ვითარცა 1830 წლის რევოლიუციაში მონაწილე კაცის შვილი, კავალერი საპატიო ორდენისა, რესპუბლიკის გამოისობით საპატიმროში მჯდარი ბევრს ხანს და 1851 წ. ჯარიდგან გამორიცხული სარესპუბლიკო აზრებისა და რწმენათათვის, ჩემს თავს ვალად ვრაცხ არ გავითხვარო სახელი ჩემი და მამისა ჩემისა რეაქციულის ტალახით. აი კიდეც ამ მიზეზით მოგმართავთ ზემოხსენებულის თხოვნით. მაქსიმ ლისბონი, დირექტორი იმ ქარხნისა, რომელიც სარევოლიუციო კართოფილსა ჰხრაკავს“.

— ერთი ინგლისელი ექიმი სამკურნალო ჟურნალ „Lancet“-ში თავისს ამხანაგებს ექიმებს მიჰმართავს და დასმარებასა სთხოვს ერთის ავადმყოფობის გამო. ამ ექიმის სიტყვით, იმისი ავადმყოფი ადრე დგება, მადიანად სამხრობს, 2 საათზედ ლაზათიანად შეექცევა სადილს, შემდეგ ჩაის მიირთმევს და საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზედ ვახშამს დააყოლებს. ამას გარდა ყოველ დღე 8 ინგლისურს მილს დადის, არაფერს იტკიებს, არაფერსა სჩივის, სადილს შემდეგ თითო საათი ძილი იცის ხოლმე. სნეულება მისი-კი იმაში მდგომარეობს, რომ ძილში ხვრინვა იცის და მერე ისე მა-

---

თაეეთთან დამიტოვეს. თუმცა მე აქ არა მაკლდა-რა, კარგად მივლიდნენ, ყოველ დღეს ხორცსაც მაჭმევდნენ, მაგრამ მაინც მწარე იყო ჩემი სიცოცხლე.

„გაიარა ხუთმა წელმა. ერთხელ მოვიდა მეცხვარეებთან ერთი ხელმწიფის ვეზირი და უთხრა, რომ ესა-და-ეს ხელმწიფე ამ ძაღლს გთხოვთო (ჩემზედ მოითითა ვეზირმა), რადგან მკითხავს უთქვამსო. იმ ხელმწიფეს ერთი მზეთუნახავი ქალი რაღაც შემთხვევით გაგიჟებულიყო და მკითხავს მე ვესწავლებინე ხელმწიფისთვის, რომ ამა-და-ამ მეცხვარეების ძაღლი მოარჩენსო და მიზეზსაც ქალის გაგიჟებისას შეიტყობსო“.

„მეცხვარეებმა, აბა რა მეტი ძალა ჰქონდათ ხელმწიფის წინაშე, ამიღეს და მიმცეს ვეზირს. ამ უკანასკნელმა წამიყვანა ხელმწიფესთან. რომ დაღამდა, გაგიჟებულის ქალის ოთახში შემიყვანეს. ნეული, სულით ავადმყოფი ლოგინში იწვა და საზარლად ჰგმინავდა. ოთახის კარები გარედგან გადაგვიკეტეს. მე ავადმყოფის ლოგინის მოშორებით დავწექი და სულ ვფხიზლობდი იმ ღამეს. შუა-ღამე იქნებოდა, რომ რაღაც საშინელი სრიალი მომესმა და ორის წამის შემდეგ ერთი უზარმაზარი ფრინველი ჩამოფრინდა ოთახის ბუხრიდგან და ავადმყოფ ქალს დაეცა. ის-ის იყო მე უნდა მივსვწდომოდი დასაჭერად, რომ ფრინველმა შემიტყო და გაფრინდა. მეორე ღამეს ავადმყოფს ლოგინთან ახლო დაუწექი. იმ ღამეს ის საშინელი ფრინველი კვლავ ჩამოფრინდა ოთახში და დაეცა ლოგინზედ. მე მაშინვე ვსტაცე ფრთებში პირი და დავიჭირე. ფრინველმა ადამიანის ხმა ამოიდგა და ამძრახდა: „ომალ-ხან ჩოფან, გამიშვი და ბედსა გწევ, სადმე გამოგადგებიო“, მაგრამ მე მისი თხოვნა ჯერ არ შევიწყნარე. მე უთხარი, თუ ამ ქალს გაჰკურნავ და შემდეგისათვისაც აღარას დაუშავებ, ღმერთის თავდებით, გაგანთავისუფლებ და თუ არა, არ გაგიშვებო. აღმითქვა და ღმერთი თავდებად მომცა, რომ გავკურნავ და ამის შემდეგ აღარას დაუშავებო.

„ფრინველი გაუშვი და ქალი მაშინვე ლოგინიდგან სრულიად განთავისუფლებული და თავის გონება კვლავ მინიჭებული წარმოდგა და სიხარულით ტირილი დაიწყო. გადამეხვია მე და თვალებში კოცნა დამიწყო. იმ ღამეს მეცა და ქალსაც გულიანად და არხეინად დაგვეძინა.

„მეორე დღე გათენდა. ხელმწიფეს მეტად გაეხარდა ქალის განკურნება და ნაზირ-ვეზირებს უბრძანა, რომ ჩემთვის შესაფერი საჩუქარი მოეცათ და გამოვესტუმრებინეთ. ნაზირ-ვეზირებმა დაიწყეს ერთმანეთში ლაპარაკი: ძაღლს რა საჩუქარი უნდა, დავჰკრათ, გავაგდოთ, წაეთრიოს, საიდგანაც მოთრეულა, იქვეო. ხელმწიფემ ეს შეიტყო და ვეზირებს გაუწყრა. ვეზირებმა, ხელმწიფის თანადასწრებით, შემაბეს ყელზედ ერთი პარკი ოქრო, რა ერთსაც დავერეოდი, და გამომისტუმრეს.

„გზაზედ რომ მოვდიოდი, ვიფიქრე: მოდი ჩემს სახლში წავალ, იქნება ცოლმა ეს ფული გაიხაროს და განმათავისუფლოს-მეთქი. მივედ სახლში, მაგრამ ჩემი ფიქრი არ ასრულდა. ცოლმა დამინახა თუ არჳე, მომვარდა, პარკი შემომხსნა და რომ ნახა ოქრო იყო პარკში, კვლავ გადმომცხო მათრახი და ახლა მტრედად მაქცია. ავფრინდი და ტყეში ერთ მაღალ ხის კენწეროზედ შემოვსჯექი. ამ დროს ორმა შავარდენმა თვალი მომკრა, დამეცნენ ისინი და ამიტაცეს ცაში. ერთმა მათგანმა უთხრა მეორეს: „მოდი შევსჭამოთო“. მეორემ უპასუხა: „არა, ნუ შევსჭამთ, წაუყვანოთ ჩვენს მეფეს, უფრო გაეხარდება და ჩვენც კარგად მიგვიმჩნევსო“. პირველმაც დაუჯერა, ჩამავლეს კლანჭები და ერთს მაღალ კლდეში შემიყვანეს. აქ სცხოვრებდა მათი მეფე. შევედი თუ არჳე, ფრინველთ მეფემ მაშინვე მიცნო და მითხრა: „ოჰ, ომალ-ხან ჩოფანს გაუმარჯოსო!“. მე მაშინვე მივხვდი და ვიცანი კიდენაც, თუ ვინც იყო ის. ის იყო უზარმაზარი ფრინველი, რომელიც ხელმწიფის ქალთან მოდიოდა ღამ-ღამობით და უკანასკნელად მე დავიჭირევი. ფრინველს ჩემი მისვლა გაეხარდა და მითხრა, რომ შენი სიკეთე ეხლა უნდა გადაგიხადოვო. დამარიგა შემდეგი: „წახვალ შინ, მოჰპარავ შენს ცოლს მათრახს (ის მათრახი ჩემი მიცემულიაო), ერთს შენს ცოლს გადაარტყავ და ჰაკ-ვირად იქცევაო, მეორეს შენს ძმას და ულაყ-ვირად გადაიქცევაო, მესამეს შენ და კაცად იქცევიო“. ამის შემდეგ გამოვემშვიდობე ჩემს მეგობარ ფრინველთ მეფეს და გამოვსწიე შინისკენ. როგორც მითხრა, ყოველივე ისე ავასრულე: ჩემი ცოლი ჰაკ-ვირად ვაქციე და ჩემი ძმა ულაყად.

„მე ესენი ბევრი ვსტანჯე, დიდს საპალნეებს ვჰკიდებდი, ვაძლევდი მეზობლებსაც ტყიდგან შეშის მოსატანად, არასფერს არ ვაჭმევდი. შიმშილმა რომ ღონე და არაქათი გამოულიათ, დარბოდნენ გამწარებულნი სოფლის ქუჩებში და ერთმანეთს ჰკბენდნენ, ჰგლეჯავდნენ და ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ერთმანეთი დახრეს შიმშილობისაგან და დაიხოცნენ. მას შემდეგ ესრე ვსცხოვრობ მარტოდ ჩემთვის და ვატარებ ჩემს დღეებს სიმწარითო».

ჩვენმა მონადირემ რომ შეიტყო ყოველივე ამბავი და თავ-გადასავალი ომალ-ხან ჩოფანისა, დაანება თავი მონადირობას და დაიწყო თავის ცოლ-შვილში ცხოვრება და გასჯა. „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა. ელასა-მელასა, ოქრო მეკიდა ყელსა, მთქმელსა და გამგონელსა, ძილი გაამოთ ყველასა“.

გრანდა ხვრინავს, რომ იმისი ხვრინვა მთელს სახლში გაისმის. წინად ღამეში 4 საათზედ მეტს არა ხვრინავდა, ეხლა-კი ძილის დროს სულ ხვრინვაშია, როგორც უნდა იწვეს, და ამას გარდა ხში რად გამოეღვიძება კიდეც ხოლმე თავისისავე ხვრინვისაგანაო.

— გენერალს ბულანჟეს ბრიუსელის ბანკის „Crédit Lyonnais“-ს განყოფილებაში რვა მილიონი ფრანკი შეუტანია.

— შეცდარნი არიან ისინი, რომელთაც ჰქონიათ, რომ კორსეტი შუა საუკუნოებში შემოიღეს საკვლ იარაღადაო. ამას წინად ათინის ციხეში ნაპოვნი ძველი ნივთები აშკარად ამტკიცებენ, რომ კორსეტის ხმარება ძველადაც სცოდნიათ. ამ ამონათხარ სიძველეებში უპოვნიათ აგრეთვე კორსეტებიც, რომელიც პერიკლის დროის ქალებს უნდა ეტარებინოთო.

— ამერიკის ერთს გაზეთში შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი: „ვისაც უნდა „Table d'hôtes“-ში სადილი მიირთვას ხოლმე, თთვეში 25 დოლარი უნდა იხადოს. NB. შეუვარებულებს ნახევარ ფასად დაუთმობათ, 12½ დოლ. ხოლო თუ ლექსებსა სწერენ, 2½ დოლარი კიდევ დააკლდებათ თთვეში. „ბოსტონი. ტრიკერი“.

◆◆

# დეპეშა

## 9 აპრილი

**პეტერბურგი.** უმაღლესი ჯილდო ებოძათ: ტფილისის ვაჟების პირველ გიმნაზიის საპატიო მზრუნველს თავ არგუთინსკი-დოლგორუკოვს—კამერგეროზა; ტფილისის სამოსამართლო პალატის პროკურორს სმიტენს—ორდენი წმ. სტანისლავისა პირველის ხარისხისა; სატუსაღო კომიტეტის დირექტორს მრევლოვს—დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკობა; წევრს-საქმის მწარმოებელს საგუბერნიო საგლეხო კრებულისას იაკიმოვს და წარმომადგენელს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსას კავკასიაში ტიხეიევს — ორდენი წმ. ანნასი პირველის ხარისხისა; გავრონსკის, კავკასიის მთავარ - მართებელის განსაკუთრებით მინდობილებათა მოხელეს—ორდენი წმ. სტანისლავისა პირველის ხარისხისა; საქმის მწარმოებელს კავკასიის მთავარ-მართებელის კანცელარიისას ალიმოვს—ორდენი წმ. ვლადიმირისა მესამე ხარისხისა; ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს თავ. შერვაშიძეს გამოეცხადა უმაღლესი მადლობა ჩინებულისა და ერთგულის სამსახურისათვის. აგრეთვე უმაღლესი მადლობა გამოეცხადა ტფილისის ფოსტო-ტელეგრაფის უწყების უფროსს ბოგუცკის.

შაბათს, 8 აპრილს, მათნი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და უავგუსტოესნი ძენი მოვიდნენ გატჩინოდგან პეტერბურგს.

უმაღლესი ჯილდო ებოძათ: ელჩს ლობანოვ-როსტოვსკის—ორდენი წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა; ალექსანდრე ნეველის ორდენი: ელჩს ლონდონისას სტალს და დირექტორს შინაგან საქმეთას ოსტენ-საკენს; წმ. ანნას ორდენი პირველის ხარისხისა — რუსეთის ელჩს ბელგრადში პერსიანის; გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგს ვლანგალის ებოძა სტატს-სეკრეტრობა; სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის დირექტორს აბაზას—წმ. ანდრია პირველ-წოდებულის ორდენი. სასულიერო უწყებაში: არხიეპისკოპოსს კიშინოვისას სერგეის—უმაღლესი რესკრიპტი და ბრილიანტის ჯვარი ბარტყულაზე სატარებელი; წევრს უწმინდესის სინოდისას გერმანეს და ეპისკოპოსებს: ოლონეცკისას პავლეს და იმერეთისას გაბრიელს—ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა; ეპისკოპოსებს მინსკისას ვარლაამს, ეკატერინოსლავისას სერაპიონს და სტავროპოლისას ვლადიმერს—ორდენი წმ. ვლადიმირისა მეორე ხარისხისა; ეპისკოპოსებს: ტობოლისას აბრაამს, გურია-სამეგრელოსას გრიგოლს, მიხაილოვსკისას თეოდოსის—წმ. ანნას ორდენი პირველის ხარისხისა; იგივე ებოძა წევრს მოსკოვის სინოდის კანტორისას სერგიევსკის და პროფესორს ხარკოვის უნივერსიტეტისას დობროტვორსკის.

დაინიშნა გზათა მინისტრად სტატს-სეკრეტარი გიუბენეტი. ქუთაისის გუბერნატორს გროსმანს გამოეცხადა უმაღლესი მადლობა.

**ბრიუსელი.** ხმა დადის, ვითომ მთავრობამ გამოუცხადა ბულანჟეს, ბელგიიდგან უნდა წახვიდეო. ბულანჟეს უპასუხნია, რომ სამშაბათს ინგლისში მივდივარო.

## 11 აპრილი

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხალხის მატარებელმა გემმა დაიწყო ვოლგასა და ოკაზედ სიარული. წყალი სწრაფ არა ჰმატულობს.

**მარსელი.** აქ დღევანდელს ბანკეტზედ ანტუანმა სიტყვა წარმოსთქვა და უთხრა ფრანგებს, რომ, ელზას-ლოტარენის ტანჯვა-წამებას გაფიცებთ, დაივიწყეთ ამბოხი და შეერთდით სამშობლოსა და რესპუბლიკის კეთილდღეობისათვისაო. ორატორმა მოიხსენია ის საფრთხე, რომელსაც ბულანჟიზმი უმზადებს სამშობლოს, და ის უბედურებანი, რაც-კი ერთ-მთავრობამ დაჰმართა საფრანგეთსაო. ბოლოს სთქვა, რომ როგორც 1870 წელმა ფრანგები ბონაპარტიზმისაგან განკურნა, ისეც 1889 წელმა უნდა განკურნოს ბულანჟიზმისაგანაო (ტაშის კვრა გაისმა).

**პარიჟი.** ბულანჟელთა გაზეთებიც აცხადებენ, რომ ხვალ, დილის 11 საათზედ, ბულანჟე გემში ჩაჯდება ოსტენდეში და ინგლისს გაემგზავრებაო. ეს გაზეთები დარწმუნებით ამბობენ, რომ მთავრობას არავითარი დეკრეტი არ გამოუცია ბულანჟეს განდევნაზე, ბულანჟე თავის თავად მიდისო.

**ვენა.** გაზეთები სასაცილოდ იხსენიებენ იმ ამბავს, რომ მეფე მილანს გაზრახვა აქვს მონასტერში შევიდეს, რათა სერბიის პატრიარხი შეიქმნასო. ამას გარდა გაზეთები ამბობენ, რომ მეფეს სიამოვნება და გართობა ძალიან უყვარსო.

## 12 აპრილი

**პეტერბურგი.** „Гражданинъ“-ი ამბობს, რომ დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძისა და საბერძნეთის პრინცესა ალექსანდრას ქორწინება 4 ივნისს მოხდებაო. დიდებულს საპატარძლოს უავგუსტოესს მშობლებითურთ 20 მაისს მოელიან.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა ადმირალი პოსიეტი და ბარონი შერნვალი სამართლის პასუხის-გებაში არ მისცეს და მხოლოდ საადმინისტრაციო გარდასახადი დაადოს ჯარიმადაო.

ხმა დადის, რომ გზათა მინისტრის ახალ ამხანაგად ხუროთ-მოძღვარი იქმნება დანიშნულიო.

## 13 აპრილი

**პეტერბურგი.** «Новое Время»-ს გაუგონია, რომ მალე დაიწყება კრებანი ახლად შედგენილის სტარიფო კომიტეტისა, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს პურზე შემოღებული ტარიფები, შარშან რკინის-გზის მოღვაწეთა მიერ შეწყნარებული. ეს ტარიფი შევიდა ძალაში შარშან 1 ოქტომბერს მხოლოდ ერთის წლის ვადით, გამოსაცდელად. კომიტეტის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას წარმომადგენელნი რკინის გზებისა, ზოგიერთნი თავად-აზნაურთ წინამძღვარნი და სპეციალისტები.

**პარიჟი.** გენერალი ბულანჟე მავიდა დღეს დილით 11 საათზე ლონდონში.

**ვენა.** (განსაკ. დეპეშა). უწესოება, რომელიც გაჩნდა ცხენის-რკინის გზის კუჩერების მიერ პირ-შეკრულობის გამო, უფრო და უფრო ძლიერდება. პენდინგის უბანში, ოტაზერინგში და გერნალში დაჰკეტეს მაღაზიები, რომ არ გაგვიცარცვონო. გუშინ პოლიცია იძულებული იყო იარაღი ეხმარა. დღეს სხვა-და-სხვა ადგილას დიდ-ძალი ჯარებია მოყვანილი.

პეტერბურგის 11 აპრილი, ბირჟა.

| | მყიდველი იყვნენ | გამყიდველნი იყვნენ | გაყიდულ იქნა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 45 |
| ჭამოყნის კუპონები . . | — „ | — „ | 149½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 271½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

---

ბაზრისადმი ცნობანი

ნირხი

1 აპრილიდამ 16 აპრილამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| „ პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ღავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 12 | „ |
| ღორის ხორცი . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე-კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი


სიჭაბუკის ცოდვა

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს არ იხდიან.

(52—11)




სასახლის ქუჩაზედ, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში. (10—3)


„წერა-კითხვის საზოგადოებამ“ განიზრახა შეაგროვოს და დაბეჭდოს სახალხო **ზღაპრები** და **ლეგენდები.**

ამისათვის მიმართავს ყველას და უმორჩილესად სთხოვს, არ დაიშურონ და გამოუგზავნონ საზოგადოების გამგეობას ვისაც ამ გვარი რამ ნაწარმოები მოეპოვება, ან შემდეგში მოიპოვებს.

ამასთანავე გამგეობა საზოგადოებისა საჭიროდ ჰრაცხს საყოველთაოდ გამოაცხადოს, რომ ვინც რაიმე ზღაპარს თუ ლეგენდას წარმოუდგენს საზოგადოებას, თითო ღირსეულ ზღაპარსა თუ ლეგენდაში მიიღებს არანაკლებ **ხუთის დაბეჭდილ წიგნისა,** სადაც კრება იქმნება ზღაპარ-ლეგენდებისა.

ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Дворян. Земел. Банка, №№ 120, და 121. Канцелярія Общества грамотности.

(10—9)


4711 О-ДЕ-КОЛОНЪ

ყველაზედ საუკეთესო ღირსებისაა.

მსურველს შეუძლიან იყიდოს რუსეთის ყველა დიდ საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიებში. (3—3)


**წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების**

**წიგნთ-საწყობში**

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან . . . . . . . | „ | 40 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . | 3 | „ |
| კრებული არითმეტიკულ ამოცანებისა, რ. ჯავახაშვილისა . | „ | 40 |
| ანბანი კანვაზე საკერი, გ. ტატიშვილისა . . . . . | „ | 20 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა . . . | „ | 10 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . | „ | 50 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი . . . . . . . | „ | 45 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი . . . . . . . | „ | 10 |
| ფოცხვანი, ლამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, ბოსტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ხუთი ამბავი, საუმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . . | „ | 15 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . | „ | 15 |
| დარიგება, თუ როგორ უნდა მოუარონ დედებმა ძუძუ-მწოვარ ყმაწვილსა, გადმოკეთებული ივ. კატატაძის მიერ . | „ | 5 |
| სურათები გლეხ-კაცის ცხოვრებიდამ ეკ. გაბაშვილისა . . | „ | 10 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა . . . . | „ | 75 |
| სამი კომედია, ა. ცაგარლისა . | „ | 60 |
| თამარ-ცბიერი, ისტორიული ოთხ-მოქმედებიანი დრამატიული პოემა . . . . | „ | 50 |
| დედა-ენა, მისივე, . . . . | „ | 30 |
| თამარიანი, გალექსილი გუგუნავასი . . . . . . . | „ | 50 |

Доз. ценз. Тифлисъ 13-го Апрѣля 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской улицѣ Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე